შერეული სწავლა-სწავლების მეთოდით სტუდენტების ინტერაქციისა და ჩართულობის ხარისხის გაზრდა

ანა მჭედლიშვილი

თამარ თარგამაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტზე, განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ანა მჭედლიშვილი

თამარ თარგამაძე

22.06.2024

მადლობა

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი ვერ დაიწერებოდა, სხვადასხვა მხარის ჩართულობის გარეშე.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ მოცემული კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ელენე ჯიბლაძეს, რომლის ჩართულობისა და მხარდაჭერის გარეშე, კვლევის ვერცერთი ეტაპი ვერ განხორციელდებოდა.

ასევე გვსურს გამოვყოთ ერთ-ერთი კურსის ხელმძღვანელი, რის ფარგლებშიც ვატარებდით ინტევენციებს. ქალბატონი თამარ შუდრას ჩართულობის გარეშე ვერ განხორციელდებოდა ინტერვენციები.

ასევე მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართულ ყველა აკადემიურ, ადმინისტრაციულ პერსონალს.

და ბოლოს, მადლობა ყველას იმ სტუდენტს, რომელიც ჩაერთო კვლევაში.

აბსტრაქტი

მოცემული პრაქტიკის კვლევა განიხილავს შერეული სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებას სტუდენტების ჩართულობისა და ინტერაქციის გასაზრდელად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების პროგრამაზე. კვლევის მთავარი მიზანია, შეაფასოს თუ რამდენად დადებითად მოქმედებს შერეული სწავლა-სწავლების კონცეფცია სტუდენტების ჩართულობაზე სასწავლო პროცესში. ასევე განსაზღვროს რა არის ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორები და შეაფასოს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შერეული სწავლა-სწავლების მეთოდების ეფექტურობა. სწორედ ამის შესაფასებლად, კვლევის ფარგლებში შეირჩა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრაციის პროგრამის ერთ-ერთი კურსი, "განათლების სამართალი".

კვლევის თეორიული ჩარჩო დამყარებულია სამ თეორიაზე: ნაკადის თეორია, თვითგამორკვევის თეორია და კონექტივიზმი. ამ თეორიებმა შექმნა წინარე ცოდნა ჩართულობისა და ინტერაქციის განმსაზღვრელ ფაქტორებზე. მოცემული თეორიების გამოყენებამ გვაჩვენა პრაქტიკული მოდელები და მათი გამოყენება აკადემიურ გარემოში. სწორედ ამ თეორიულ ცოდნას დაეყრდნო დიაგნოსტიკური კვლევა და ეს თეორიები გახდა ფუნდამენტი ინტერვენციების შემუშავებისა და დანერგვისათვის.

კვლევის ფარგლებში შემუშავებული ინტერვენციების ჩატარების მიზანი იყო შერეული სწავლა-სწავლების მეთოდების დახმარებით და თეორიული ჩარჩოდან გამომდინარე მიგნებების კომბინაციით, რომელიც გულისხმობდა სტუდენტების სალექციო პროცესში ინტერაქციისა და ჩართულობის ფაქტორების ანალიზს, სტუდენტთა ჩართულობის დინამიკის გაზრდას. მოცემული ინტერვენციები განხორციელდა როგორც

აუდიტორიაში, ასევე სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებზე, როგორიც არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი სასწავლო პლატფორმა elearning-ი და ასევე zoom-ი.

ინტერვენციების განხორციელების შემდეგ, მოხდა მათი შეფასება, რათა დადგენილიყო თუ რამდენად ეფექტურად განხორციელდა ისინი და რამდენად შესაბამისობაში იყო კვლევის მიზანთან. შეფასების ასპექტმა მნიშვნელოვნად გაზარდა კვლევის ვალიდურობა და გამოყო მოცემული ინტერვენციების დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც შემდგომში იძლევა საშუალებას, პრაქტიკის კვლევის შემდეგი ციკლის დახმარებით, სიღრმისეულად იქნას შესწავლილი და გაუმჯობესებული.

მოცემული კვლევა, თეორიული მასალითა და პრაქტიკული დაკვირვებით, ქმნის შერეული სწავლა-სწავლების კომბინირებულ მოდელს, რომელიც შესაძლებელია პრაქტიკაში გამოიყენოს სხვადასხვა კურსის აკადემიურმა ხელმძღვანელმა, რათა გაზარდოს ინტერაქციისა და ჩართულობის მაჩვენებელი კურსის მიმდინარეობის პროცესში. კვლევაში მოცემულია და შეფასებულია შერეული სწავლა-სწავლების ეფექტურობა, სტუდენტების ჩართულობასა და ინტერაქციასთან მიმართებაში. კვლევა იძლევა მნიშვნელოვან რეკომენდაციებს მეთოდების სწორად დანერგვისა და განხორციელების შესახებ. შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ შერეული სწავლა-სწავლების მეთოდების კომბინირებული გამოყენება დადებითად მოქმედებს სტუდენტების მოტივაციაზე, რაც შესაბამისად ზრდის მათ ჩართულობას სწავლის პროცესში.

Abstract

This practice study examines using blended learning methods to increase student engagement and interaction at Ilia State University's educational administration program. The study's primary goal is to evaluate how the concept of mixed learning positively impacts students' involvement in the learning process. Also, the barriers to engagement will be determined, and the effectiveness of the blended learning methods used within the program will be assessed. To evaluate this, one of the courses of the education administration program of Ilia State University, "Educational Law", was selected as part of the research.

The theoretical framework of this study is grounded in three key theories that have previously informed our understanding of engagement and interaction. These theories have not only provided us with a theoretical foundation but have also guided the development and implementation of practical interventions. The application of these theories in an academic setting has yielded practical models, which have been instrumental in our diagnostic research and subsequent interventions.

The interventions developed within the framework of this research were designed to enhance student engagement through the use of blended learning methods. These

interventions were informed by the findings from the theoretical framework, which involved an analysis of the factors influencing student interaction and involvement in the lecture process. The interventions were implemented in the classroom and on various online platforms, such as e-learning and Zoom, to ensure a comprehensive approach.

After the interventions were implemented, they were evaluated to determine how effectively they were implemented and how consistent they were with the research objective. The evaluation aspect significantly increased the validity of the study. It highlighted the pros and cons of the given interventions, which allowed the practice to be further explored and improved with the help of the following research cycle.

This study, with theoretical material and practical observations, creates a combined model of blended learning, which can be used in practice by academic supervisors of different courses to increase the rate of interaction and involvement in the course process. The study presents and evaluates the effectiveness of blended learning in student engagement and interaction. The study provides essential recommendations for the proper implementation of the methods. The results show that the combined use of mixed learning-teaching methods positively affects students' motivation, which accordingly increases their involvement in the learning process.